12/06/2025

MES 4 25 0000660839

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომის ოქმი

ქ. თბილისი

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას ესწრებოდნენ:

1. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრები:
ეკატერინე წიფურია - სსიპ - გალაკტიონ ტაბიძის სახელობის ქალაქ თბილისის №51 საჯარო სკოლის დირექტორი, საბჭოს თავმჯდომარე;
თამარ მამსიკაშვილი - აზიის განვითარების ბანკის პროგრამის ,,თანამედროვე უნარები უკეთესი დასაქმების სექტორის განვითარებისთვის" სკოლების გაძლიერების სპეციალისტი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
ნინო ბერიკაშვილი - სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი, ,,არაქართულენოვანი სკოლების მხარდაჭერის" ქვეპროგრამის მენეჯერი, საბჭოს მდივანი;
პეტრე ბაბილუა - შპს - „ევროპული სკოლის" მათემატიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, საბჭოს წევრი;
დავით მალაზონია - შპს - „თანამედროვე განათლების აკადემია - სკოლა და ბაღის"დირექტორი, საბჭოს წევრი;
მანანა თურქაძე - შპს ,,ინტერნაციონალური მაარიფის სკოლები საქართველოში" დირექტორთა საბჭოს წევრი და მთავარი მრჩეველი განათლების საკითხებში, საბჭოს წევრი;
ნონა ჩუბინიძე - სსიპ - ქალაქ ქუთაისის №14 საჯარო სკოლის დირექტორი;
დავით კახნიაშვილი - შპს - „თბილისის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა-ლიცეუმ მწიგნობართუხუცესის" დირექტორი, ა(ა)იპ - „არასამთავრობო (კერძო) სასწავლებლების ასოციაციის" თავმჯდომარე, საბჭოს წევრი;
ეკატერინე გურგენაშვილი - სსიპ - მერაბ კოსტავას სახელობის ქალაქ თელავის №4 საჯარო სკოლის მასწავლებელი, 2024 წლის მასწავლებლის ეროვნული პრემიის გამარჯვებული, საბჭოს წევრი;
ირმა ამირანაშვილი - შპს - ,,ქორალის" ხარისხის მართვის მენეჯერი, საბჭოს წევრი;
კახაბერ ჩაკვეტაძე - სსიპ - წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ქვიტირის საჯარო სკოლის მასწავლებელი, საბჭოს წევრი;
თეა სვიმონიშვილი - სსიპ - ქალაქ თბილისის №12 საჯარო სკოლის მასწავლებელი, საბჭოს წევრი;
ქეთევან ნატროშვილი - შპს - ,,ქართული სასწავლებელი - თბილისის" დირექტორის მოადგილე, საბჭოს წევრი.

2. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

თეა ლილუაშვილი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი;
ნინო ცხოვრებაძე - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი;
ნათია კვირიკაშვილი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი;
რუსუდან ზვიადაური - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;
ქეთი მუთიძე - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი.

3. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:

სსიპ - ქალაქ ბორჯომის N3 საჯარო სკოლა:
ნინო ჟამიერაშვილი - სკოლის დირექტორის მოადგილე
სსიპ - ქალაქ დედოფლისწყაროს N2 საჯარო სკოლა:
ლალი იაკობიშვილი-ჩერქეზიშვილი - სკოლის დირექტორი
სსიპ - ზესტაფონის მუნიციპალიტეტისსოფელ ქვედა საქარის საჯარო სკოლა:
თეონა ურიადმყოფელი - სკოლის დირექტორი
სსიპ - საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ მერჯევის საჯარო სკოლა:
მაკა დეკანოიძე - სკოლის დირექტორი
სსიპ - ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის სოფელ გორელოვკის N3 საჯარო სკოლა:
ნათია კაპანაძე - სკოლის დირექტორი
სსიპ - ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ არლის საჯარო სკოლა:
რუსუდან კოპაძე - სკოლის დირექტორი
სსიპ - ქალაქ თბილისის №86 საჯარო სკოლა:
შპს მეცნიერებათა სკოლა:
ეკატერინე სუხიშვილი - სკოლის დირექტორი;
ნანა მონიავა - სკოლის ხარისხის მართვის მენეჯერი;
მიმოზა გოლიჯაშვილი - სკოლის საბუნებისმეტყველო მეცნიერებების მასწავლებელი;
ივანე ბალახაშვილი - სკოლის იურისტი
შპს კერძო სკოლა ალმასი:
სოლომონ ბიწაძე - სკოლის დირექტორის მინდობილი პირი;
ეთერ მიქაძე - სკოლის ხარისხის მართვის მენეჯერი

4. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში ექსპერტები):

შპს მეცნიერებათა სკოლა:
ა) მედეა ქოქრაშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) სოფიო ტარასაშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
გ) ხათუნა ნოზაძე (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
დ) ნიკა უთალიშვილი (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ე) ხათუნა ფანცულაია (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);

ვ) დავით კიკაბიძე (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ზ) თამარ კვანტიძე (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
თ) გიორგი კოპლატაძე (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ი) ნატო ხაჭაპურიძე (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).

შპს კერძო სკოლა ალმასი:
ა) კესო ბოყოველი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) ნინო შიუკაშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
ბ) ირინა გოგონაია (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
დ) მეგი ტალახაძე (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ე) ნათია ქათამაძე (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ვ) თამარ ძველაია (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ზ) მაია სახარულიძე (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
თ) ბელა დურგლიშვილი(სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ი) ნინო საღარაძე (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
კ) ლია ნეფარიძე (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ლ) ლელა მანგოშვილი (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ (შემდგომში - დებულება) მე-17 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას წარუძღვა საბჭოს თავმჯდომარე, ეკატერინე წიფურია. საბჭოს სხდომა 2025 წლის 30 მაისს ჩატარდა ონლაინ რეჟიმში (Zoom - ის ონლაინ პლატფორმის საშუალებით). სხდომა დაიწყო 14:00 საათზე. საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ დებულების მე-17 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან ესწრება საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.
ცენტრის წარმომადგენელმა საბჭოს წინაშე დააყენა შუამდგომლობა სხდომის მიმდინარეობის აუდიო ჩაწერასთან დაკავშირებით სხდომის ოქმის მომზადების მიზნით. მან აქვე განმარტა, რომ აუდიო ჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის პროექტის მომზადებისთანავე. საბჭოს სხდომაზე დამსწრე პირებმა გაიზიარეს აღნიშნული შუამდგომლობა.
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების მე-20 მუხლის მე-7 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგი:
1.სსიპ - ქალაქ ბორჯომის N3 საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის განხილვა;
2.სსიპ - ქალაქ დედოფლისწყაროს N2 საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის განხილვა;

3.სსიპ - ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვედა საქარის საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის განხილვა;
4.სსიპ - საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ მერჯევის საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის განხილვა;
5.სსიპ - ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის სოფელ გორელოვკის N3 საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის განხილვა;
6.სსიპ - ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ არლის საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის განხილვა;
7.სსიპ - ქალაქ თბილისის №86 საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის განხილვა;
8.შპს მეცნიერებათა სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
9.შპს კერძო სკოლა ალმასში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა. დღის წესრიგთან დაკავშირებით შუამდგომლობა არ იქნა წარმოდგენილი და შესაბამისად, დღის წესრიგი დამტკიცდა წარმოდგენილი სახით.

1. სსიპ - ქალაქ ბორჯომის N3 საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ სსიპ - ქალაქ ბორჯომის №3 საჯარო სკოლას, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით, 2023 წლის 12 სექტემბრის N1134249 ოქმის მე-2 ნაწილის საფუძველზე, განესაზღვრა რეკომენდაცია 2024 წლის აგვისტოდან ცენტრში წარმოედგინა მესამე სტანდარტის 3.1, 3.3, 3.4, 3.5 და 3.6 კომპონენტების შესრულების დამადასტურებელი მტკიცებულებები.
საბჭოს თავმჯდომარის მითითებით, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2025 წლის 22 აპრილის N431707 ოქმის მე-9 ნაწილისა და 2025 წლის 23 აპრილის N435268 გადაწყვეტილების საფუძველზე, საბჭომ ცნობად მიიღო სკოლის მიერ წარმოდგენილი ბიბლიოთეკართან და ექიმთან გაფორმებული ხელშეკრულებები, შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან გაგზავნილი მიმართვის წერილი სახანძრო უსაფრთხოების დასკვნის მომზადებისთვის, სკოლის ვებ-გვერდის ბმული, სადაც ატვირთული იყო დოკუმენტაცია და ასევე, ვებ-გვერდზე პასუხისმგებელი პირის დანიშვნის ბრძანება. თუმცა, საბჭოს მხრიდან დაწესებულებას განესაზღვრა რეკომენდაცია, 2025 წლის მაისში წარმოედგინა 3.1, 3.3, 3.5 და 3.6 კომპონენტების შესრულების დამადასტურებელი მტკიცებულებები, ხოლო 3.4 კომპონენტთან მიმართებით, 2027 წლის აპრილში.
დაწესებულების მიერ წარმოდგენილ იქნა პერსონალის ცნობები „უფლების ჩამორთმევის შესახებ“, „სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან ბრძოლის შესახებ“, საკვალიფიკაციო მოთხოვნების დოკუმენტი, ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის ერთიანი დოკუმენტი, შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების დასკვნა, შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა, შეთანხმებული და დამტკიცებული საგანგებო სიტუაციებში მართვის გეგმა, ლიფტის

უსაფრთხოდ გამოყენების დამადასტურებელი დასკვნა და საზოგადოებასთან ურთიერთობის წესი. საბჭოს თავმჯდომარის განმარტებით, დაწესებულებას ამ დრომდე არ ჰქონდა წარმოდგენილი დასკვნა შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ და ადაპტირებული გარემოს დამადასტურებელი დოკუმენტაცია და ფოტო-მასალა.
საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ მიმართა სკოლის წარმომადგენელსა და საბჭოს წევრებს, ხომ არ სურდათ პოზიციის დაფიქსირება.
სკოლის წარმომადგენლის, ნინო ჟამიერაშვილის განმარტებით, საბჭოს მხრიდან განსაზღვრული ყველა რეკომენდაცია ჰქონდათ შესრულებული, მხოლოდ ვერ აიყვანეს მეორე ექიმი და განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსთან შეთანხმებით განსაზღვრეს ექთნის შტატი.
საბჭოს წევრმა, ნონა ჩუბინიძემ, აღნიშნა, რომ ექიმის საკვალიფიკაციო მოთხოვნებში მითითებული ჰქონდათ მხოლოდ „სამედიცინო განათლება“ და მიმართა სკოლის წარმომადგენელს, დაეკონკრეტებინათ მოთხოვნები აღნიშნულ დოკუმენტში.
საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენელთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.
საბჭომ ცნობად მიიღო, სსიპ - ქალაქ ბორჯომის N3 საჯარო სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია.

2. სსიპ - ქალაქ დედოფლისწყაროს N2 საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით, 2023 წლის 13 დეკემბრის N1704379 ოქმის მე-5 ნაწილის საფუძველზე, განესაზღვრა რეკომენდაცია 2024 წლის ნოემბრამდე ცენტრში წარმოედგინა პედაგოგების მიერ ნასამართლეობისა და სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლეობის შესახებ ცნობები, საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, შენობა - ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის დასკვნა.
დაწესებულების მიერ წარმოდგენილ იქნა პედაგოგების მიერ ნასამართლეობისა და სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლეობის შესახებ ცნობები, საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სამხარაულის დასკვნა შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ.
დაწესებულებამ ვერ წარმოადგინა შენობა - ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების შესახებ დასკვნა.
საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ მიმართა სკოლის წარმომადგენელსა და საბჭოს წევრებს, ხომ არ სურდათ პოზიციის დაფიქსირება.
სკოლის დირექტორის, ლალი იაკობაშვილის განმარტებით, საბჭოს მხრიდან გაცემული ყველა რეკომენდაცია შესრულებული ჰქონდათ, წარმოსადგენი რჩებოდათ შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების შესახებ დასკვნა.
საბჭოს წევრი, ნონა ჩუბინიძე, დაინტერესდა, აღნიშნულთან დაკავშირებით მიმართული ჰქონდათ თუ არა შესაბამისი პასუხისმგებელი ორგანოსთვის.
სკოლის დირექტორის თქმით, აღნიშნულთან დაკავშირებით არ ჰქონდათ მიმართული პასუხისმგებელი ორგანოსთვის, ვინაიდან კონცენტრირებული იყვნენ სხვა რეკომენდაციების შესრულებაზე.
საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენელთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭომ ცნობად მიიღო, სსიპ - ქალაქ დედოფლისწყაროს N2 საჯარო სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია.
რეკომენდაციები, რომლებიც საჭიროებდა დიდ ფინანსურს რესურსს და არ იყო შესრულებული (შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების შესახებ დასკვნა) სკოლისგან დამოუკიდებელი მიზეზით, საბჭომ მიზანშეწონილად მიიჩნია ცვლილების განხორციელება, კერძოდ საბჭოს მიერ განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების ვადების ცვლილების კუთხით.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 13 დეკემბრის N1704379 ოქმის მე-5 ნაწილში ცვლილების განხორციელების შესახებ საკითხი.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება:
დაწყების დრო: 14:10
დასრულების დრო: 14:14

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე, შევიდეს ცვლილება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 13 დეკემბრის N1704379 ოქმის მე-5 ნაწილში და დაწესებულებას შეუსრულებელი რეკომენდაციის შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულებად, ნაცვლად 2024 წლის ნოემბრამდე, განესაზღვროს 2027 წლის მაისი.

3. სსიპ - ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვედა საქარის საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით, 2023 წლის 23 ოქტომბრის N1421424 ოქმის მე-5 ნაწილის საფუძველზე, განესაზღვრა რეკომენდაცია 2024 წლის ოქტომბრამდე ცენტრში წარმოედგინა კანონმდებლობით დადგენილი მოთხვნების შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე ექიმის მომსახურების უზრუნველყოფის, სამედიცინო კაბინეტის სრულად აღჭურვის, საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შესაბამის უწყებასთან შეთანხმების და პანდუსის მოწყობის მტკიცებულებები, ასევე შენობის მდგრადობისა და შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნები.
დაწესებულების მიერ წარმოდგენილ იქნა ექიმის კვალიფიკაციის ამაღლებისა და სამედიცინო კაბინეტის აღჭურვის დამადასტურებელი მტკიცებულებები.
დაწესებულებამ ვერ წარმოადგინა შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნა, საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, შენობის მდგრადობის შესახებ დასკვნა და კიბის უჯრედში პანდუსის დამონტაჟების დამადასტურებელი მტკიცებულებები.
საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ მიმართა სკოლის წარმომადგენელსა და საბჭოს წევრებს, ხომ არ სურდათ პოზიციის დაფიქსირება.

სკოლის დირექტორის, თეონა ურიადმყოფელის განმარტებით, საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების ძირითადი ნაწილი იყო შესრულებული, თუმცა, შესასრულებელი რჩებოდათ შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების შესახებ დასკვნისა და კიბის უჯრედში პანდუსის მოწყობის რეკომენდაციები. მისი თქმით, აღნიშნული დაკავშირებული იყო დიდ ფინანსურ ხარჯებთან და დაწესებულებას საკუთარი ფინანსებით არ შეეძლო მოწყობა. აქვე, დასძინა, რომ კიბის უჯრედების დახრილობა არ იძლეოდა პანდუსის მოწყობის შესაძლებლობას და საჭირო იყო ლიფტის მონტაჟი, ამ მიზნით კი მიმართული ჰქონდა შესაბამისი პასუხისმგებელი ორგანოსთვის. მისი თქმით, დაწესებულებას არ ჰყავდა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოსწავლე, მაგრამ თუ ეყოლებოდა, არ შეექმნებოდა საერთო სარგებლობის სივრცეებით სარგებლობის პრობლემა.
საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენელთან.
საბჭოს წევრი, კახაბერ ჩაკვეტაძე, დაინტერესდა, ჰქონდა თუ არა დაწესებულებას შენობა-ნაგებობის მდგრადობის შესახებ დასკვნა.
სკოლის დირექტორმა, თეონა ურიადმყოფელმა, აღნიშნა, რომ დაწესებულებას მიღებული ჰქონდა შენობა-ნაგებობის მდგრადობის შესახებ დასკვნა და საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა.
საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენელთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.
საბჭომ ცნობად მიიღო, სსიპ - ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვედა საქარის საჯარო სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია.
რეკომენდაციები, რომლებიც საჭიროებდა დიდ ფინანსურს რესურსს და რომლებიც არ იყო შესრულებული (შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნა და კიბის უჯრედში პანდუსის დამონტაჟება) სკოლისგან დამოუკიდებელი მიზეზით, საბჭომ მიზანშეწონილად მიიჩნია ცვლილების განხორციელება, კერძოდ საბჭოს მიერ განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების ვადების ცვლილების კუთხით.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 23 ოქტომბრის N1421424 ოქმის მე-5 ნაწილში ცვლილების განხორციელების შესახებ საკითხი.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება:
დაწყების დრო: 14:23
დასრულების დრო: 14:27

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე, შევიდეს ცვლილება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 23 ოქტომბრის N1421424 ოქმის მე-5 ნაწილში და დაწესებულებას შეუსრულებელი რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულებად, ნაცვლად 2024 წლის ოქტომბრამდე, საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმისა და შენობის მდგრადობის შესახებ დასკვნისათვის განესაზღვროს 2025 წლის ივნისი, ხოლო სხვა რეკომენდაციებისთვის 2027 წლის მაისი.

4. სსიპ - საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ მერჯევის საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით, 2023 წლის 13 დეკემბრის N1704379 ოქმის მე-4 ნაწილის საფუძველზე, განესაზღვრა რეკომენდაცია 2024 წლის ნოემბრამდე ცენტრში წარმოედგინა შენობა - ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნა.
დაწესებულების მიერ წარმოდგენილ იქნა წერილი შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურისთვის გაგზავნილი საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შეთანხმებისთვის, სახანძრო უსაფრთხოების ზედამხედველობის სახანძრო-ტექნიკური შემოწმების და გამოკვლევის უარყოფითი აქტი, შესყიდვების ხელშეკრულება, ინსპექტირების დასკვნა, ინვოისი, წერილი სსიპ-საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის სააგენტოსთან.
დაწესებულებამ ვერ წარმოადგინა შენობა - ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნა.
საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ მიმართა სკოლის წარმომადგენელსა და საბჭოს წევრებს, ხომ არ სურდათ პოზიციის დაფიქსირება.
სკოლის დირექტორის, მაკა დეკანოიძის თქმით, სახანძრო-ტექნიკური შემოწმების და გამოკვლევის უარყოფითი აქტის მიღების შემდგომ, დაწესებულებამ გააფორმა ხელშეკრულება ერთ-ერთ კომპანიასთან, რომელმაც ადგილზე შეისწავლა სკოლის სახანძრო უსაფრთხოება და მიიღო ინვოისი, რომელიც აღწერდა შესასრულებელი სამუშაოების თანხის ოდენობას, შესაბამისად დაფინანსების მიზნით, მიმართული ჰქონდათ შესაბამისი პასუხისმგებელი ორგანოსთვის და ელოდებოდნენ შემდგომ გადაწყვეტილებებს.
საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენელთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.
საბჭომ ცნობად მიიღო, სსიპ - საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ მერჯევის საჯარო სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია.
რეკომენდაცია, რომელიც საჭიროებდა დიდ ფინანსურს რესურსს და რომელიც არ იყო შესრულებული (შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნა) სკოლისგან დამოუკიდებელი მიზეზით, საბჭომ მიზანშეწონილად მიიჩნია ცვლილების განხორციელება, კერძოდ საბჭოს მიერ განსაზრვრული რეკომენდაციების შესრულების ვადების ცვლილების კუთხით.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 13 დეკემბრის N1704379 ოქმის მე-4 ნაწილში ცვლილების განხორციელების შესახებ საკითხი.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება:
დაწყების დრო: 14:36
დასრულების დრო: 14:42

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე, შევიდეს ცვლილება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 13 დეკემბრის N1704379 ოქმის მე-4 ნაწილში და დაწესებულებას შეუსრულებელი რეკომენდაციის შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულებად, ნაცვლად 2024 წლის ოქტომბრამდე, განესაზღვროს 2027 წლის მაისი.

5. სსიპ - ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის სოფელ გორელოვკის N3 საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით, 2023 წლის 15 ნოემბრის N1552694 ოქმის მე-3 ნაწილის საფუძველზე, განესაზღვრა რეკომენდაცია 2024 წლის ნოემბრამდე ცენტრში წარმოედგინა შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის და შენობა-ნაგებობის მდგრადობის შესახებ დასკვნები.
დაწესებულების მიერ წარმოდგენილ იქნა შენობა-ნაგებობის მდგრადობის შესახებ დასკვნა. დაწესებულებამ ვერ წარმოადგინა შენობა - ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნა.
საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ მიმართა სკოლის წარმომადგენელსა და საბჭოს წევრებს, ხომ არ სურდათ პოზიციის დაფიქსირება.
სკოლის დირექტორის, ნათია კაპანაძის განმარტებით, სახანძრო უსაფრთხოებასთან დაკავშირებით გადადგმული ჰქონდათ გარკვეული ნაბიჯები, თუმცა, დასკვნის თანახმად, სკოლის შენობა-ნაგებობიბს სახანძრო უსაფრთხოება თანხვედრაში არ მოდიოდა სტანდარტებთან და ელოდნენ შესაბამის პასუხისმგებელ ორგანოს.
საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენელთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.
საბჭომ ცნობად მიიღო, სსიპ - ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის სოფელ გორელოვკის N3 საჯარო სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია.
რეკომენდაცია, რომელიც არ იყო შესრულებული (შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნა) სკოლისგან დამოუკიდებელი მიზეზით, საბჭომ მიზანშეწონილად მიიჩნია ცვლილების განხორციელება, კერძოდ საბჭოს მიერ განსაზრვრული რეკომენდაციების შესრულების ვადების ცვლილების კუთხით.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 15 ნოემბრის N1552694 ოქმის მე-3 ნაწილში ცვლილების განხორციელების შესახებ საკითხი.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება:
დაწყების დრო: 14:49
დასრულების დრო: 14:56

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე, შევიდეს ცვლილება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 15 ნოემბრის N1552694 ოქმის მე-3 ნაწილში და დაწესებულებას შეუსრულებელი რეკომენდაციის შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულებად, ნაცვლად 2024 წლის ოქტომბრამდე, განესაზღვროს 2027 წლის მაისი.

6. სსიპ - ადიგენის მუნიციპალიტეტისსოფელ არლის საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით, 2023 წლის 07 დეკემბრის N1667698 ოქმის მე-7 ნაწილის საფუძველზე, განესაზღვრა რეკომენდაცია 2024 წლის ნოემბრამდე ცენტრში წარმოედგინა შენობა- ნაგებობის სახანძრო- უსაფრთხოების შესახებ დასკვნა.
დაწესებულებამ ვერ წარმოადგინა შენობა - ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნა.
საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, მიმართა სკოლის წარმომადგენელსა და საბჭოს წევრებს, ხომ არ სურდათ პოზიციის დაფიქსირება.
სკოლის დირექტორის, რუსუდან კოპაძის განმარტებით, სახანძრო უსაფრთხოების დასკვნის მოპოვებისთვის გადადგმული ჰქონდათ გარკვეული ნაბიჯები, მათ შორის გამართული იყო სახანძრო სისტემა და ელოდნენ დასკვნას.
საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენელთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.
რეკომენდაცია,რომელიც საჭიროებდა დიდ ფინანსურს რესურსს და რომელიც არ იყო შესრულებული (შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნა) სკოლისგან დამოუკიდებელი მიზეზით, საბჭომ მიზანშეწონილად მიიჩნია ცვლილების განხორციელება, კერძოდ საბჭოს მიერ განსაზრვრული რეკომენდაციის შესრულების ვადების ცვლილების კუთხით.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 07 დეკემბრის N1667698 ოქმის მე-7 ნაწილში ცვლილების განხორციელების შესახებ საკითხი.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება:
დაწყების დრო: 15:09
დასრულების დრო: 15:16

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე, შევიდეს ცვლილება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 07

დეკემბრის N1667698 ოქმის მე-7 ნაწილში და დაწესებულებას რეკომენდაციისს შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულებად, ნაცვლად 2024 წლის ოქტომბრამდე, განესაზღვროს 2027 წლის მაისი.

7. სსიპ - ქალაქ თბილისის №86 საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით, 2023 წლის 13 დეკემბრის N1704379 ოქმის მე-6 ნაწილის საფუძველზე, განესაზღვრა რეკომენდაცია 2024 წლის ნოემბრამდე ცენტრში წარმოედგინა შენობა-ნაგებობის მდგრადობისა და შენობა - ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნები, შენობა-ნაგებობის საჯარო რეესტრში რეგისტრაციის დამადასტურებელი დოკუმენტები.
დაწესებულების მიერ წარმოდგენილ იქნა მიწერილობები შესაბამის სამსახურებთან.
დაწესებულებამ ვერ წარმოადგინა შენობა-ნაგებობის მდგრადობისა და შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნები, შენობა-ნაგებობის საჯარო რეესტრში რეგისტრაციის დამადასტურებელი დოკუმენტი.
საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ სურდათ პოზიციის დაფიქსირება.
საბჭოს სხდომას არ ესწრებოდა სკოლის წარმომადგენელი.
საბჭოს მითითებით, რეკომენდაციები, რომლებიც საჭიროებდა დიდ ფინანსურს რესურსს და რომლებიც არ იყო შესრულებული (შენობა-ნაგებობის მდგრადობისა და შენობა - ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნები, შენობა - ნაგებობის საჯარო რეესტრში რეგისტრირების დამადასტურებელი დოკუმენტი) სკოლისგან დამოუკიდებელი მიზეზით, საბჭომ მიზანშეწონილად მიიჩნია ცვლილების განხორციელება, კერძოდ საბჭოს მიერ განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების ვადების ცვლილების კუთხით.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 13 დეკემბრის N1704379 ოქმის მე-6 ნაწილში ცვლილების განხორციელების შესახებ საკითხი.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება:
დაწყების დრო: 15:09
დასრულების დრო: 15:16

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე, შევიდეს ცვლილება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 13 დეკემბრის N1704379 ოქმის მე-6 ნაწილში და დაწესებულებას რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულებად, ნაცვლად 2024 წლის ოქტომბრამდე, განესაზღვროს 2027 წლის მაისი.

8. შპს მეცნიერებათა სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, მედეა ქოქრაშვილმა. ექსპერტმა განაცხადა, რომ დაწესებულებაში ავტორიზაციის ვიზიტი განხორციელდა 2025 წლის 27 და 28 მარტს. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებით და საბაზო ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს ქართულ ენაზე და სურდა დაწყებითი, საბაზო და საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა იყო 420. აქვე, ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურება გაეწია 420 მოსწავლისთვის.

ექსპერტის თქმით, ექსპერტებმა შეისწავლეს სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია, ჩაატარეს გასაუბრებები როგორც მშობლებთან, ასევე მასწავლებლებთან და აღნიშნა, რომ 1-ელი (სკოლის ფილოსოფია), მე-2 (სასკოლო კურიკულუმი) (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები), მე-3 (სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა) და მე-4 (მოსწავლეთა მხარდაჭერა) სტანდარტები შეფასდა, როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“.

ექსპერტის თქმით, დაწესებულების მიმართ, გაიცა რჩევები, რომლებიც დეტალურად აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.

ექსპერტმა ისაუბრა სკოლის საუკეთესო გამოცდილების შესახებ და აღნიშნა, რომ დაწესებულებას ჰქონდა სოციალური მედია, ტექნიკურად გამართული ვებ-გვერდი, ასევე, ჰყავდა აქტიური სასკოლო საზოგადოება.

ექსპერტმა, მედეა ქოქრაშვილმა, წარმოადგინა დაწესებულების ამსახველი ფოტო-მასალა და აღნიშნა, რომ შექმნილი იყო კეთილგანწყობილი გარემო, ადაპტირებულ გარემოსთან დაკავშირებით კი, განმარტა, რომ კიბის უჯრედებზე მოწყობილი ჰქონდათ მობილური (გადმოსაწევი) პანდუსი, ასევე, სკოლის ტერიტორიაზე გაშენებული იყო ვენახი, რომლის მოვლა-პატრონობაში აქტიურად იყვნენ ჩართული სკოლის მოსწავლეები და მშობლები.

საბჭოს თავმჯდომარე, ეკატერინე წიფურია, დაინტერესდა რამდენად მყარი იყო მობილური პანდუსი.

ექსპერტმა, მედეა ქოქრაშვილმა, დაადასტურა, რომ სამივე სართულზე მოწყობილი მობილური პანდუსი იყო მყარი, თუმცა, მომავლისთვის სკოლას დაგეგმილი ჰქონდა ლიფტის მოწყობა. აქვე, დასძინა, რომ სკოლის ფსიქოლოგი აქტიურად მუშაობდა მოსწავლეების ფსიქო-ემოციურ განწყობებზე.

სკოლის იურისტმა, ივანე ბალახაშვილმა, აღნიშნა, რომ მობილური პანდუსები მოწყობილი იყო შესაბამისი კვალიფიციური თანამშრომლის მიერ და აქვე, დასძინა, რომ შრომის უსაფრთხოების დადებითი დასკვნა შედგენილი იყო სწორედ აღნიშნული პანდუსების მოწყობის შემდეგ.

საბჭოს მდივანი, ნინო ბერიკაშვილი, დაინტერესდა, რა გამოცდილება ჰქონდა დაწესებულებას არაფორმალური განათლების მიმართულებით და იყო თუ არა პროფესიული განვითარების მექანიზმები შემუშავებული.
ხარისხის მართვის მენეჯერმა, ნანა მონიავამ, აღნიშნა, რომ დაწესებულება აპირებდა საშუალო საფეხურზე ინტეგრირებული პროგრამების შემოღებას.
სკოლის მასწავლებელმა, მიმოზა გოლიჯაშვილმა, აღნიშნა, რომ დაწესებულებაში განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა არაფორმალურ განათლებას, შექმნილი იყო კლუბები, ასევე, სკოლას ჰქონდა საკვირაო სკოლა გარემოს დაცვის მიმართულებით, რომლის ფარგლებშიც დაწესებულებაში მოწყობილი იყო მწვანე კუთხე და იგეგმებოდა სხვადასხვა ღონისძიებები.
საბჭოს წევრი, ქეთევან ნატროშვილი დაინტერესდა, მშობელთა კლუბის მიერ განხორციელებული იყო თუ არა რაიმე ღონისძიება.
სკოლის დირექტორის, ეკატერინე სუხიშვილის თქმით, დაწესებულებას ჰქონდა პროექტი „ერთი დღე მშობელი სკოლაში“, რომლის ფარგლებშიც სხვადასხვა პროფესიის მშობლები ყველა კლასს აცნობდნენ საკუთარ პროფესიას.
საბჭოს წევრი, კახაბერ ჩაკვეტაძე დაინტერესდა ხომ არ ჰქონდა დაწესებულებას ისეთი პროექტები, რომლებიც ითვალისწინებდა იმ თემს, სადაც მდებარეობდა სკოლა.
სკოლის მასწავლებელმა, მიმოზა გოლიჯაშვილმა, აღნიშნა, რომ დაწესებულებაში შექმნილი იყო ეკო-თოჯინების თეატრი და იდგმებოდა სხვადასხვა შინაარსის მატარებელი სპექტაკლები.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს მეცნიერებათა სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 420 - ით განსაზღვრის საკითხი.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო: 15:42
დასრულების დრო: 15:56

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად, შპს მეცნიერებათა სკოლას (ს/კ: 405317982) 9 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 420 - ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო	ზოგადსაგანმ	ზოგადსაგანმა	

	პროგრამის სახელწოდება	ანათლებლო პროგრამის საფეხური	ნათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	ქალაქი გორი, ვახტანგ გორგასლის ქუჩაN1ა
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	ქალაქი გორი, ვახტანგ გორგასლის ქუჩა N1ა
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	ქალაქი გორი, ვახტანგ გორგასლის ქუჩა N1ა

9. შპს კერძო სკოლა ალმასში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, კესო ბოყოველმა. ექსპერტმა განაცხადა, რომ დაწესებულებაში ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების მიზნით, გეგმიური მონიტორინგის ვიზიტი განხორციელდა 2024 წლის 11 და 12 დეკემბერს ცენტრის დირექტორის ბრძანების საფუძველზე. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. ექსპერტის თქმით ვიზიტის დროს დაწესებულებაში სწავლობდა 150 მოსწავლე.

ექსპერტმა, კესო ბოყოველმა, წარმოადგინა დაწესებულების შენობის ამსახველი ფოტო-მასალა და აღნიშნა, რომ სწავლება მიმდინარეობდა შენობის მე-2 და მე-3 სართულებზე, სკოლას ჰქონდა ბიბლიოთეკა, სააქტო დარბაზი, საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორია, ექიმის ოთახი.

ექსპერტმა, კესო ბოყოველმა, ისაუბრა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტების შეფასებაზე და აღნიშნა, რომ 1-ელი (სკოლის ფილოსოფია), მე-2 (სასკოლო კურიკულუმი) (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები), მე-3 (სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა) და მე-4 (მოსწავლეთა მხარდაჭერა) სტანდარტები შეფასდა, როგორც „არ შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“.

ექსპერტმა, კესო ბოყოველმა, აღნიშნა, რომ დასკვნის პროექტში დაფიქსირებულ ხარვეზებთან მიმართებით სკოლამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია, რომელთა ნაწილიც გაზიარებულ იქნა ექსპერტთა ჯგუფის მიერ, თუმცა, ძირითადი ნაწილი ვერ გაიზიარეს ექსპერტებმა, ვინაიდან დამდგარი იყო შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული შესრულების ვადები და შესაბამისი დოკუმენტაცია არ იყო წარმოდგენილი.

ექსპერტის თქმით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ, დაწესებულების მიმართ გაიცა გარკვეული რეკომენდაციები და რჩევები, რომლებიც სრულად აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.

ექსპერტმა, კესო ბოყოველმა, აღნიშნა, რომ ექსპერტებმა შეამოწმეს წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციები. მისი თქმით, გაცემულ რეკომენდაციათა უმეტესი ნაწილი იყო შესრულებული, თუმცა, ვებ-გვერდზე არ იყო განთავსებული სტანდარტის შესაბამისი ინფორმაცია, ტერიტორია არ იყო სრულად შემოღობილი და რიგ შემთხვევებში ბრძანებები არ შეიცავდა ადმინისტრაციული კოდექსით გათვალისწინებულ რეკვიზიტებს.

საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, მიმართა სკოლის წარმომადგენელს, დაეზუსტებინა, რა იყო მიზეზი იმისა, რომ დაწესებულებამ ვიზიტის ბრძანების მიღების შემდგომაც კი არ გამოასწორა ისეთი ხარვეზები, რომლის გამოსწორების რესურსიც ჰქონდათ.

სკოლის დირექტორის მინდობილმა პირმა, სოლომონ ბიწაძემ, აღნიშნა, რომ დაწესებულების დამფუძნებელი ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების გამო იმყოფებოდა საზღვარგარეთ, რის გამოც დროებით შეფერხდა რეკომენდაციების შესრულება.

საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, თამარ მამსიკაშვილი, დაინტერესდა, როგორი იყო სკოლის სტრუქტურა. აქვე, ხაზი გაუსვა იმ ფაქტორს, რომ დაწესებულებას შეეძლო საკუთარი რესურსებით ისეთი ხარვეზების გამოსწორება, რომელიც ეხებოდა შინაარსობრივ მხარეს.

სკოლის ხარისხის მართის მენეჯერმა, ეთერ მიქაძემ, აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემულ რჩევებსა და რეკომენდაციებზე სკოლას დაწყებული ჰქონდა აქტიური მუშაობა. აქვე, დასძინა, რომ დაწესებულებას ნამდვილად ჰქონდა მრავალი შინაარსობრივი ხარვეზი, თუმცა, იმ შემთხვევაში, თუ მიეცემოდათ საგანმანათლებლო საქმიანობის გაგრძელების უფლება, მთლიანად შეიცვლებოდა სკოლის სტრუქტურა, განახლდებოდა დოკუმენტაცია და გაიმართებოდა გარკვეული პროცესები.

საბჭოს წევრი, დავით კახნიაშვილი დაინტერესდა, ჰყავდა თუ არა დაწესებულებას ინფორმაციული ტექნოლოგიების და მათემატიკის მასწავლებლები.

ექსპერტის, კესო ბოყოველის თქმით, მათემატიკას ასწავლიდნენ ის მასწავლებლები, რომლებიც კვალიფიციური იყვნენ ფიზიკის საგანში, ხოლო, ერთი მასწავლებლის კვალიფიკაცია ვერ შეფასდა, ვინაიდან დიპლომი არ იყო წარმოდგენილი. აქვე, დასძინა, რომ ექსპერტებამდე არ მისულა საინფორმაციო ტექნოლოგიების სწავლების განრიგი.

აქვე, სკოლის ხარისხის მართვის მენეჯერმა, აღნიშნა, რომ ფიზიკის მასწავლებელს ჰქონდა მათემატიკის სწავლის უფლებამოსილება. მისი თქმით, ექსპერტებთან გაგზავნილი ჰქონდათ საინფორმაციო ტექნოლოგიების სწავლების განრიგი, რომელსაც ჰქონდა ტექნიკური ხარვეზი და სათაურად მითითებული იყო ბიბლიოთეკით სარგებლობის განრიგი.

საბჭოს წევრმა, ქეთევან ნატროშვილმა, მიმართა სკოლის წარმომადგენელს, დაეზუსტებინა, როგორ წარმართეს სასწავლო პროცესი ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის შემდგომ.

სკოლის წარმომადგენლის განმარტებით, პირველივე, რაც გამოასწორეს იყო, ბიოლოგიის მასწავლებლის ჩანაცვლება, გადაიხედა ფიზიკა-ქიმიის კურიკულუმები და სხვა. მისი თქმით, აღნიშნულზე ინფორმირებული იყო დაწესებულების დირექტორი და ჰქონდა მაქსიმალური მზაობა გაცემული რეკომენდაციების სრულად გათვალისწინებისთვის და ხარვეზების აღმოფხვრისთვის.

საბჭოს მდივანი, ნინო ბერიკაშვილი, დაინტერესდა, რამდენი მასწავლებელი ჰყავდა სკოლას და როგორ იყო გადანაწილებული მათი სტატუსები. ასევე, დაინტერესდა, რა პრინციპით საქმდებოდნენ მასწავლებლები სკოლაში.

ექსპერტის, კესო ბოყოველის განმარტებით, სკოლაში დასაქმებული იყო 14 უფროსი, 3 წამყვანი და 4 მასწავლებლის მაძიებლობის მასწავლებელი, ასევე, ჰყავდათ მოწვეული მასწავლებლებიც. აქვე, აღნიშნა, რომ მასწავლებლებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში არ იყო ასახული რომელი მასწავლებელი რომელ საგანს ასწავლიდა. ასევე, განმარტა, რომ ექსპერტებამდე არ მისულა ის მასალა, რომელიც ასახავდა კონკურსის გამოცხადებიდან მის დასრულებამდე პერიოდს.
სკოლის წარმომადგენლის განმარტებით, მას შემდეგ, რაც დახარვეზდა აღნიშნული, კონკურსის გამოცხადება მიმდინარეობდა კანონით გათვალისწინებული ეტაპებით.
საბჭოს წევრის, ნონა ჩუბინიძის თქმით, მას ჰქონდა შთაბეჭდილება, რომ მოსწავლეთა უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი და მექანიზმები არ ჰქონდა სკოლას, რაც მიუთითებდა მოსწავლეთა უფლებების დარღვევაზე. აქვე, მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, დაეზუსტებინა, როგორ ხდებოდა სასკოლო ჟურნალისა და უსაფრთხოების მონიტორინგი.
სკოლის წარმომადგენლის განმარტებით, აღნიშნულთან დაკავშირებით გამოცემული იყო ბრძანებები და დანიშნული იყვნენ შესაბამისი პასუხისმგებელი პირები.
საბჭოს წევრი, კახაბერ ჩაკვეტაძე, დიანტერესდა, როგორ ხდებოდა სწავლა-სწავლების ხარისხის მონიტორინგი დაწესებულებაში.
სკოლის ხარისხის მართვის მენეჯერის თქმით, ის დაწესებულებას შემოუერთდა მოგვიანებით და არ იყო ჩართული კურიკულუმების შედგენის პროცესში, ხოლო, რაც შეეხებოდა სწავლა-სწავლების ხარისხსს, მისი თქმით, დაწესებულებას ჰქონდა დიაგნოსტიკური წერები, რომლითაც ფასდებოდა მოსწავლის ცოდნა კონკრეტულ საგანთან მიმართებით.
საბჭოს წევრი, დავით მალაზონია დაინტერესდა, მიმდინარე პერიოდში ვინ იყო სკოლის ფუნქციონირებაზე პასუხისმგებელი ქმედითუნარიანი პირი. აქვე, აღნიშნა, რომ შინაგანაწესში იყო ძირეული ხარვეზები.
ექსპერტის, კესო ბოყოველის განმარტებით, პასუხისმგებელ პირს წარმოადგენდა სკოლის დირექტორის მინდობილი პირი, სოლომონ ბიწაძე.
საბჭოს წევრი ქეთევან ნატროშვილი დაინტერესდა შედგა თუ არა მშობლებთან გასაუბრებები და როგორი იყო მათი მოსაზრებები სკოლასთან დაკავშირებით.
ექსპერტის, კესო ბოყოველის თქმით, გასაუბრებები შედგა როგორც მშობლებთან, ასევე მოსწავლეებთან. მისი თქმით, მშობლებს არ გამოუხატავთ რაიმე სახის პრეტენზია სკოლასთან დაკავშირებით. ისინი გამოთქვამდნენ კმაყოფილებას, ასევე, არც მოსწავლეებს ჰქონიათ უკმაყოფილება რაიმე მიმართულებით, ერთადერთი, რაც მოსწავლის მხრიდან გაჟღერდა, იყო საპირფარეშოების საკითხი.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა, შპს კერძო სკოლა ალმასის ავტორიზაციის პირობების შესრულების მონიტორინგთან დაკავშირებით განხორციელებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის შესახებ საკითხი.
ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო - 16:35
დასრულების დრო - 16:47

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 0
წინააღმდეგი -13

საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, განმარტა, რომ, საბჭომ სრულად გაიზიარა ექსპერტთა ჯგუფის მხრიდან გამოვლენილი ხარვეზები, დასკვნის პროექტში ასახული

გარემოებებისა და ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, იმის გათვალისწინებით, რომ ოთხივე სტანდარტი იყო შეუსაბამო, მიიჩნიეს, რომ დაწესებულება ვერ შეძლებდა მოსწავლეებისათვის ხარისხიანი საგანმანათლებლო სერვისის მიწოდებას. მისი მითითებით, მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებით, აღნიშნული გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად უნდა განსაზღვრულიყო საგაკვეთილო პროცესის დასრულების თარიღი, 2025 წლის 15 ივნისი.

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, მე-11 პუნქტის, 21-ე მუხლის მე-4 პუნქტის და 27-ე მუხლის მე-18 პუნქტის შესაბამისად, შპს კერძო სკოლა ალმასს (ს/კ: 202059431) გაუუქმდეს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი.
აღნიშნული გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვრა 2025 წლის 15 ივნისი.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის განხილვის შემდგომ, 16:55 საათზე საბჭოს სხდომა დასრულებულად გამოცხადდა.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ბერიკაშვილი ნინო

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
წიფურია ეკატერინე